



№ 31 - 1916 ც ა ს ი
 კვირა, 31 მაისათვის 12 კაპ.

წელ. მიმოსხე
 ბაზოცემისა

ჟურნალი წლ. 5 მ.
 ნახ. წლ. 3 მ. მისა-
 მართი: თბილისი,
 „თეატრი და ცხოვ-
 რება“ იოსებ იმე-
 დაშვილს.



ვაჟა—ფშაველას დაუბე- ჭდავი ლექსი

დარო ზურაშვილის ალბომში ჩაწერილი, 1913 წ.)
 ლამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთადა. —
 შენი ნათქვამის ქართულით მაამე მეტისმეტადა!
 ნეტავ სულ ვგრე გაუბნა, როცა ვიქნებით ერთადა:
 მოკლულს, ბნელს გულსა ნათელს თავს დაადგება სვეტადა,
 ვცოცხლდები, აწმყოს ბეჩავესა მე ვცნობ მომავლის ბედადა
 ხელში ავიღებ ჩონგურსა ლექსების დასაღღერტადა. —
 ელოცულობ ნამდვილ ქართველ ქალს ცა-ხმელთ
 მფლობელთან ერთადა..

ვაჟა—ფშაველა

ვაჟა ფშაველა
 გარდმცვალეზიდან წლის თვის შე-
 სრულების გამო

მკათათვის 31

ახალი მსხვერპლი. ომის ღმერთი არა სცხრება და ჩვენს ქვეყანას ახალ მსხვერპლსა სთხოვს.

მარიამობის თვის 15 —იდან სამხედრო სამსახურში იწვევენ წითელბილეთიანებს 1893 წ. და ლურჯბილეთიანებს 1901 წ. აქედ.

ჯერ დღესაც-კი მამაკაცთა მხრით სოფელი ძალზე შეთხლებულია, ხოლო როცა ამოდენა ხალხს გაიწვევენ, მაშინ სოფელში ალაგ-ალაგ მამალივით თუ დაიცივლებს კაცი...

სოფელი დარჩება ქალების, ბაღებისა და მოხუცთა სინაბარა...

მეურნეობა, მრეწველობა, ადებ-მიცემობა ჩაიფუშება...

ახალად ფეხ-ადგმული კოოპერატიული მუშაობა, შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა საქმიანობა წაიბოძიკებს...

განეოდება კულტურული მუშაობაც: თეატრი, წიგნთ-საცავ—სამკითხველო, სკოლა, ბეჭდვითი საქმე და სხ...

მართალია დიდია გლახთა მეურნეობის მნიშვნელობა: პურ-ღვინის მოვლა-პატრონობა, დიდია ადებმიცემობისა და, საზოგადოდ, ნივთიერი ავლადიდების წესიერად წარმოება—კუჭის საზრდოს შეძინება, მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია კულტურული მუშაობა—სულიერი საზრდოს მოპოება, ვინაიდან „არა მხოლოდ პურითა ცოცხალ არს კაცი...“

ომიანობამ-კი ყოველივე ეს მიშალ—მოშალა.

ამიტომაც გვმართებს სულიერი სიმტკიცის გამოჩენა და შინ დარჩენილ ძალთა გაერთიანების გარდა ქალთა ამუშავებაც...

თქმა არ უნდა, ომის ღმერთმა ჩვენს ქალს დიდი მსხვერპლი მოსთხოვა: წაართო ქმარი, შვილი, მამა, ძმა,—ბევრს ყველა ერთად, მაგრამ მაინც სასოწარკვეთილება არ შეგჭერის ქართველ ქალს, რომლის წინაბარი სულის სიმტკიცითა და შავბედთან მედგარ ბრძოლით იყო ცნობილი...

დღეს თითქმის უკაცოდ დარჩენილ ქვეყანას ქალმა უნდა უზატრონოს: საოჯახო—სამეურნეო და საკულტურო—საზოგადო საქმეებს გაუძღვეს.

ქალმა თვისი სათნო მასიათით და მოსიყვარულე გულით უნდა შეაკავშიროს დარჩენილი, დღემდე ჯგუფურ კინკლაობით მოსაქმე—განზნეული კულტურული ძალნი, სათეატრო საქმეში მამაკაცის მაგიერობა გასწიოს, სწავლისა და წიგნთ-საცავსამკითხველოთა საქმიანობა არ ჩააქროს, დასასრულ—ასოთაწყობისა თუ სტამბის სხვა ხელობის, შესწავლას ყურადღება მიაქციოს...

დაე, ომის ღმერთმა მსხვერპლზე მსხვერპლი მოგეთხოვოს, ჩვენ სულით ნუ დავცემით, გარჯა—შრომა გავიორკევოთ, რომ კერაში ცეცხლი არ ჩაგვიქრეს და ბრძოლის ველიდან დაბრუნებულთ ოჯახი მშვიდობიანად დავახვედროთ...



გაუ ფშაველა წმ. ნინოს ლაზარეთში
(გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო)



მსახიობი ვანო ბარველი

ბათუმის დასის რეჟიორი, მიმდინარე სეზონში ბათუმის სცენაზე მუშაობს და თავისი მუყაითობით ადგილობრივ ქართული წარმოდგენების წესიერად მართვას ძლიერ ხელი შეუწყო. მარიამობის თვეს მისი ბენეფისია.

ვაჟა-პთის თქარი

(ესკიზი)

საქართველოს მრავალსაღიანი ბუნებამ მოგვცა ვაჟა—ვაჟამ თავის მხატვრულ შემოქმედებაში მოგვცა საქართველოს ბუნება. ვაჟამ შეგვასწავლა ბუნება, სწორედ რომ ვსთქვათ მოგვიწოდა ბუნების წილში. ვაჟა—ბუნების პირმო შვილია. მან იცის ძალა, უხილავი ძალა ბუნებისა. ის გრძობს მის სიმშვენიერეს და ამიტომ მოგვიწოდა მასთან სათამაშოდ. ვაჟა განიცდიდა ბუნებას, მძლედ განიცდიდა, მაგრამ ამასთანვე არ შეეძლო ეს განცდანი, ტკბილი განცდანი კეთილშობილი სულისა არ გაეზიარებნა ჩვენთვის. მან ღრმად განცდილ ხელოვანის გამოცდილობით გამოჰკვეთა ბუნების სახეობა ფოლადისებურის სიმტკიცით. მან განასახიერა ბუნება. მაგრამ საქართველოს ბუნება ხომ მრავალ სახიანია: გადაქიმილი ნაზი ველი და მასზე მონა, ვარდე შეყვარებული გიჟმაჟი მდინარე; მოქანავე და მოლიფლივე ყვავილებით შემკული მისი გულ მკერდი, მრავალფეროვანი ხასხასა მწვანე მდგლოს ფონზე წარმტაცად აბიბინებულნი. ამწვანებული ნაპირები, მდინარის უტყვი თანამგზავნი, თამამად მოთამაშენი და მოარ-

შეყენი, სადა მდინარის ოდნავ აქაფებულ ტალღებში ტალღათა ნელი ამბორი და თითქოს კენესა, თითქოს სიცილი, თითქოს საყვედური, როგორც შედეგი მწარ—ნეტარ განცდათა... ატეხილი ტყე-ქალები და მუდმივი მათი სიმშვენიერე და მუდმივი მათი მზრუნველობა, გამახალისებელ მდინარის სიყვარულით გამოწვეული. ნელი სიო, როგორც მათი მოტრფივლე და მზრუნველობით ამბორი და ჩაკონება გადადელილ, ოდნავ აკოკრებულ მდგლოს ოდნავი შეხებით და ყველა ამით გამოწვეული მდინარის ბუზღუნი და წუწუნი: ყველა ეს ერთად შეკონილი, სანატრელი მზის სხივით ტურფა თაიგულად შეკრული და ორ ზღვის შუა ტურფა მდგლოდ ჩანასკვილი.

მათი მფარველი ამაყი და შეუპოვარი მამ, გრამ უხეში და მრისხანე კავკასიონი და მათზე დროთა ვერავობისაგან გაბატონებული ფრთხილად მყინვარი, მოდარაჯე მათი სიშვენიერისა და მოთაყვანე მათი სილამაზისა.

ყველა ეს ვაჟას სამშობლოა და ვაჟაც მასზეა მომდერალი, მათი მოტრფივლე, მათი მოციქული ადამიანთან. ვაჟას პოეზიაც ხომ იგივეა: იგივე გიჟმაჟი მდინარე, აყვავებული მდგლო და ცელქი სიო, მათ გულ-მკერდზე ლაღად მოცეკვავე. ტურფა ქალწულის სინაზით ოდნავ გადადელილი გულ-მკერდი და ვაჟაც მასზე ოდნავის ამბორით დაკონებულნი... მისი პირმო...

ათას, ათათას, ასი ათას ფერებით შემკული ბუნება შეყვარებულთა საიდუმლოებით მოლიმარი, ანკარა გამკვირვილე ტალღებში სიფრთხილით მოქანავე და ვაჟაც მათი ერთგული, მათზე მზრუნავი, მათით შეყვარებული. ვაჟას უყვარს ბუნება, უყვარს ძლიერად. ყველა მათი მფარველი მრისხანე მთები—ვაჟას სატრფიალონი და ვაჟაც მისი შემქმობი, მათი შემყვარებელი, მთის ფიქრი.

ყველა ეს ერთად შეკინძული ვაჟას ტურფა სამშობლოა „ტანჯულ ქართველი კრითა“.— ამ ტურფა მრავალფეროვან თაიგულად შემკულმა ბუნებამ მოგვცა ვაჟა. ამიტომ ის ხან ნაზია, ვით ჩვენი სამშობლოს ქალწული ბუნება, ხან გიჟმაჟი ვით მდინარენი „აღჭაფებულნი, ნაჭურნი სჯღის ტინისა“. ხან ლალია, ვით ცე-

ლქი სიო ვაჟას—სამშობლ ეს წარ მტაც ბუნე-
ბის წაღზე თამამად მოცუკვავე, ხან ბუმბე-
რაზია, ვინ მშობლიური მყინვარი, მრისხანე
და შეუპოვარი, ვით თერგი მყინვარის გულის
წადების მლაღადებელი, ხან წაღვლიანია, ვით
ფიქრი მთების, მშობლიურ მთების ფიქრი-

— მშობელ ერის მომავალზე.

მისი პოეზია ხან გვიანაზებს და გვაგიჟ-
ბაჟებს, ხან გვალაღებს და გვაცუკვავებს,
ხან კი გვანრისხებს და გვაბორბტებს და
სწორედ ამანია ვაჟას ბუმბერაზობაც. იგი
ერთგვარის ხელოვნებით გვიხატავს ნაზი ბუ-
ნების სილამაზეს, შეყვარებულ ბუღბუღლთა
საიდუმლო გულის ზრახვას—ბუნების ტრფი-
აღს, ტყის საღაობას, მის ბუმბერაზობას,
თერგის შეუპოვრობას, მყინვარის მუქარას
დაუღვერობისთვის. ამ გვარად ვაჟამ ჯერ გა-
გვაცნო ჩვენი ქვეყნის საიდუმლოებანი, მისი
სიშვენიერე, მისი ბუმბერაზობა, მისი ტანჯ-
ვა, მერე კი მოგვიწოდა სავაჟაკოდ და ფო-
ლაღისებური სიტყვით გაგვამხნევა, გვასწავ-
ლა სამშობლოს მძლე სიყვარული. გაგვაცნო
მისი ზრახვანი, გულის საიდუმლო ზრახვანი.

მან რა იგრძნო მშობელჴერის დაძაბუნება,
საშველად მშობლიური მთებე მოიშველა და
ამაყი მყინვარის ძლიერებით და შეუპოვარ
თერგის მრისხანებით გათამამებულმა, ძლიე-
რად გადმოსძახა სამშობლოს მტრებს:

„სამშობლას აზვის წაყარამეგოთ,
ჩვენც ნურგინ შეგვეცადება,
თორემ ისეთს დღეს დაგაყრით
შეკლასაც კი გაეცინება“...

ამ სახით გაგვამხნევა, გაგვაგაჟაკა და
მოგვაგონა, რომ ჩვენ არც ისეთი უძღურნი
ვყოფილვართ, როგორცა გვეგონია. რომ ჩვენ
ყოველთვის შეიშველობას გავვიწვევს მრისხანე
მთა—ვაჟას სატრფიალო. თუ ასეა, მაშ, დეე,
იმ დროს, როდესაც ვაჟა ჩვენის სახელოვან
წინაპრების თანხლებით წამდგარია ძლიევამო-
სილობის ღმერთთან და შესთხოვს:

„ღმერთო, სამშობლო მიტოვსდე
ტანჯულ ქართველი ერითა“

ჩვენ, გათამამებულებმა ამ მფარველობით,
წარესდგეთ კაცობრიობის წინაშე და მრისხან-
ენდ, ვაჟასებურის ვაჟაკობით გადავძახოთ მ-

სივე ანდერძი—საყვარელ ვაჟას ან ღერძი, რომ
ჩვენც

„სამშობლას აზვის წაყარამეგოთ,
ჩვენც ნურგინ შეგვეცადება,
თორემ ისეთს დღეს დაგაყრით
შეკლასაც კი გაეცინება“

ლ. არაკვიანი.

რ ა ხ ი ლ !

(მინიატიურები)

მწუხარის სიმღერა-

შუა ღამისას გაღასცქეროდი ფაზისის მთ-
ვლემარე ტალღებს და მღეროდი რახილ!

შენი სიმღერა ტირილი იყო.

შენ სტიროდი, რახილ!

მოგონებათა მთელი რიგი მწუხარე ჰან-
გათ გადმოსჩქეფდა შენს ბაგეთაგან.

განა ჰაერის ტალღათა რხევა ოდესმე
მიუტანს ძღვნად სიონის მწვერვალთ იმ მწუ-
ხარე ხმებს?!

განა ოდესმე იორდანის ტალღათა თვლე-
მა იხილავს სიზმრად მწუხარე ასულს ისრა-
ელისას, მტირალს ფაზისის პირად?

რახილ! საუკუნეთა მსვლელობაში იწუ-
რება ტანჯვით გრძნობა ისრაელისა სამშო-
ბლოს მოგონებით კოლხეთის მთათა მწვერ-
ვალიდან წამონაქროლი ნიავი მუდამ სკდი-
ლობდა მოეშორებინა თქვენთვის სულის სი-
ღრმეში აგორებულნი ნისლი მწუხარებისა...

მაგრამ მაინც კვლავ დასტირით სიონს
დაკარგულს.

და, ჰკითხე რახილ! ჰკითხე კოლხეთის ასუ-
ლთ: მათ მოგონებათა რვეულის ფურცლებზე,
მწუხარის ცრემლებს ოდესმე ამოუქარავას თუ
არა სიტყვა „კოლხეთი“?!

II

ნუ სტირი!

ნუ სტირი, რახილ. ნუ დასტირი ძველ
მოგონებათ

დაივიწყე.

არ განახლდება დამსხვრეული სამხევ-

რპლო მაკავებლებს. სოლომონიას აღარ ძა-
ლ უძს ერის სამსხვერპლოზე კვლავ მიიყვანოს
შვიდივე ძენი..

დაივიწყე წარსული, რახილ.

ღიმილით გასხივოსნებული სახე უფრო
ავსებს იმედით ჩემს სულს.

მე მსურს გიკქერდე მხიარულ რახილს,
რომ შემეძლოს თქმა: ჯერ კიდევ ყოველივე
არ დაუმარხავს ისრაელს, მარტო წარსულით
არ განუსაზღვრავს თვისი ბედი ისრაელის ერს.

რახილ! საბრალოა ის ერი, რომელიც
მხოლოდ წარსულის დიდების ნანგრევში ეძე-
ბს თავისთვის ახალ საუნჯეს!—

III

დარბეული.

რად ეკრძალები ჩემს სიახლოვეს, ჩემს
თვალთა გამომეტყველებას? ისეთივე მწუხარება
იგი, ვით ფარული ნაღველი იის ფერ ჩრდი-
ლად შენს წამწამთ ირგვლივ.

დაიმსხვრა სამსხვერპლო სიონის მთაზე.
იერუსალიმის ნანგრევთა შორის, მრავალისრა-
ელის უკანასკნელი გმინვა გაიყინა ბაგებზე.

დაარბიეს, დაანგრეს იუდელოა ძველი
სამეფო.

და მოგონება ამა დროისა გატირებს, რა-
ხილ.

მეც წამართვეს ჩემი სამშობლო. ვითი-
სრაელი, წყეული და შეჩვენებული დაფარწი-
ვარ, რახილ დარბეულია ჩემი სახლ-კარი და-
ნგრეულია ჩემი სამსხვერპლო.

ჩემი ბედი შენს ბედს უახლოვდება.

მაგრამ სირცხვილით დავიწვიბოდი, ჩემი
გოდება, ჩემი ტარილი შებღალულ და შეგი-
ნებულ თავისუფლების რომ მოესმინა მტარ-
ვალის, ჩემს დამრბევს.

IV

უცხო მხარეში.

მოგონებათა ნისლში ინაკვთება მწუხარე
ხმები, რომლითაც მსურს აქ, უცხო მდინა-
რის პირად გამოვიტირო სიყმაწვილის და სია-
მის ღღენი.

ასე მოსთქვამდენ, რახილ, იუდელნი ბა-
ბილონის ტყვეობაში.

მეცა მხვდა წილად უცხოთა შორის გო-
დება ჩემს სამშობლოზე და რად უნდა

მრცხვენოდეს ჩემივ ცრემლების?

„გვიმღერე რამე მშობლიურ ჰანგზე, რომ
გაიქარვოთ სევდა ნაღველია ამ სიტყვებით ან უ-
გეშებდენ იუდეელთ ბაბილონელნი.“

მე კი თვით ფიქრსაც მიკრძალავენ ჩემს
სამშობლოზე, უფლებასაც არ მაძლევენ მწუ-
ხარე ჰანგით გამოვიტირო ობლობა ჩემი.

რახილ! ოჰ, რომ გესმოდეს ახლა მწუ-
ხარებით აღვსილი ჩემი სიმღერა, შენ ეტყო-
დი მანდ ჩემს თანამოძმეთ: მე მესმოდა როგორ
ჰგოდებდა იქ, უცხო მხარეში, უცხო მდინა-
რის პირად თვის ტურფა კოლხეთს მწუხარე
ვაჟი.

V

ვინ დამიტირებს?

ახლა, როდესაც უცხო მხარეში ვივლი
ჩემის სიცოცხლის უკანასკნელ წუთთ, კვლავ
მომაგონდა, რახილ შენი სიმღერა.

მომაგონდა, თუ ვით შესჩოდი ბედს, რომ
სიკვდილი გეწვეოდა უცხოთა მხარეს...

რახილ! ჩემი სამშობლო უცხო არ არის
შენთვის და შენ უცხო არა ხარ მისთვის...

თუ ოდესმე სიკვდილი დაგიხუტავს თვა-
ლთ, შენივე მოძმენი მიგასვენებენ საფლავის
კარზე, შენივე მოძმენი დაგაფრქვევენ ცრემლს
უსულო გვამზე.

მე-კი აქ ვინ დამიტირებს უცხოთა შო-
რის?

სამშობლოს ცის სივრცეზე მოხეტიალე
ღრუბლის ნაკვთებიც ვერ მომაწვდიან თავი-
ანთ ცრემლებს.

ვინ დამიტირებს, ვინ დამიტირებს დევ-
ნილს, წამებულს უცხოთა შორის?

მაგრამ რახილ! წყნარად... არავის ეს-
მას...

უკანასკნელ სიცოცხლის წუთებს ის უფ-
რო მიმწარებს, რომ ჩემს სამშობლოშიც...
წყნარად... გესმის ჩემს სამშობლოშიც არავინ
მყავს, რომ დამიტიროს.

არავინ ჩემთვის მხურვალე ცრემლს არ
გაიშვებს...

მის. ხომალტი

ბრძოლის ველზე

საწვეტი პოემიდან „მარსის გვირგვინი“.

1— ლამე

სიჩუმეა... მძინარ სოფელს შავ სუდარში ახვევს ლამე,
 ღრუბლის საფლავს დაუმარხავს ცის მნათობი მოკამკამე.
 შავ ბურუსით ზარბაზნის კვამლს ბრძოლის ველი დაუფარავს.
 სცივია. ყინვის მინა დაეკიდა მებრძოლთ კარავს.
 სიღუმს მიდამო. . და ოდნავად სიო ფოთოლს აკანკალებს,
 დაქნტულან დღის მებრძოლნი— ძილი პარავს ყველას თვალებს.
 ზოგს ნაზადი დაუგია,— ზოგს ახურავს სველი ქურქი,
 სძინავს ყველას... და აქა-იქ ოდნავ ბეუტავს სანთლის შუქი.
 აჰა, კარმაც დაუბერა! ცას მოგლიჯა ღრუბლის ქსელი
 და კაშკაშა ცის მნათობმა გააშუქა ბრძოლის ველი.
 შორს აფრინდა ზე ყორანი, იქ კაბუკი ვილაც არის,
 ის ვერ ხედავს მთვარის კაშკაშს, აღარ ესმის სტევენა ქარის,
 მის ქაობში ჩაფლულ სხეულს ქარიშხალი აზრობს, ჰყინავს
 და ყორანი უმძღარი ტანს უძიძგნის, თავს დაფრინავს;
 პირი მიწით ამოვ'ია, მოგლეჯია ფეხი ცალი,
 ცალი გვერდი გაქმული აქვს— ჩადგომია შიგნივ წყალი.
 მკერდზე კანი გაძრობია— ზედ მიმხმარა სისხლი შავი
 და ძიძგნიან ყვავ-ყორნები!.. ოხ, საწყალი! ოხ, ბედშავი!
 დასქენა მისი ყოფნის ვარდი, მის ყვავილი აღარ ჰყვავის...
 სიჩუმეა... მხოლოდ ისმის მოძახილი ბეღით ყვავის!..

2— ომი

განთიადის მოციქულმა სხივით დასწვა ლამე შავი,
 დღეს ქვითინით მიეგება წყლის დუდუნნი და ნიაგი.
 წვიმს, ქარი ქრის, ცრეა, დღეა. . მზე კი მინც აღარ ჩნდება,
 თითქოს მიწა ეზარება, თითქოს მიწას ერიდება!
 დაიქექა ზარბაზანმა და გაჩაღდა კვლავად ომი,
 იელიტება ორივე მხარე, ერთმანეთის სისხლის მღომი.
 ქექავს, გვრგინავს ზარბაზანი, ცეცხლს აღში ტყვიებს ართავს,
 მარსი სისხლით გამომთვრალი ქეიფსა სწევს, ზეის მართავს!
 იწვის მიწა! იწვის ზეცა! ყუმბარები გლეჯენ ველებს!
 ზარბაზანი ცაში კლაქნის ტყვისა და ცეცხლის გველეს?
 მიწა, მტერი, ტყვია, კვამლი არეულა ერთად ყველა!
 ცა ცეცხლს აფრქვევს! ხოცვა, ჟლეტა, ზუზუნია! ცივა! ბნელა!..
 ზოგს გულ მკერდი გაუფატრავს, ზოგს მოგლიჯა ტყვიამ მკლავი,
 ყოყინაა! ქექა! გრგვინვა! ოხვრა! კენე'ა გულსაკლავი!..

3— მემკვარი

შევეწვიე ზარს ბრძოლისა!,— ის ციური ხმა მგონია,
 ტკბილ მუსიკად მერვინება ჯოჯოხეთის სიმფონია.
 ვიბრძვი მედგრად, თავ-განწირვით; გადალახვა მსურს მთა ბარის,
 შური, შური მსურს ვაძიო მკერდ-გაპობილ მეგობარის!
 არ ვიბრძოლო?— მძმე მტერი და სამშობლო მაგონდება:

მე გმირი ვარ—ძღვეის ღმერთი, ჩემს სახეზე შიში კვდება!
 გავიწირე თავი ჩემი და სიცოცხლე სათაყვანო,
 საიქიოს მივალ, მაგრამ მინდა მტერიც წავიძღვანო!
 საამქვეყნო რა ვიფიქრო ბრძოლის ჟინით ანათრთოლმა?
 ყველაფერი დამავიწყა ყივინამ და ცეცხლის ბოლმა.
 ჩემს გარშემო კენესა ისმის და ზუზუნის შემზარავი!
 მეგობარნიც დამხოცია—ალარ დამრჩა აღარავინ...
 მაგრამ მაინც არ მეშინის!

ეობრძვი...

თვალში მიბნელებდა...

ველარ მნახავთ, მეგობრებო! ოხ... სიცოცხლე კვდე-ება, კვდე-ება-ბა...

— ბ რ ძ ო ლ ის უ მ ე მ დ ე ზ

დასცბრა ომი. კვლავ ქვეყანას შავ სულარში ახვევს ღამე.
 ხანდაზმულად ველს აშუქებს ცის მნათობი მოკამკამე.
 დახოცილთა უძრავ გვამით დაფარულა ბრძოლის ველი;
 ვინ ძმას ეძებს, ვინ მეგობარს, ყველას ტანჯავს სევდა მწველი
 აგერ გულ-ცივ დედამიწის სარეცელზე ვიღაც კვდება.
 და ვინ იცის სიკვდილის წუთს რა სურს, რაღა ენატრება
 აგერ მიწაც კი ინძრევა! დააკვირდით: გმინავს! კვნესის!
 სასწაული ხომ არ არის: ქვეყნის სევდა მიწას ესმის?!
 — არა, არა, მეგობარნო! იქ—რძრძოა განაქერი.
 ომის მსხვერპლად შეწირული რომ დამარხონ მასში ვერი.
 და თვით მიწაც რომ ინძრევა, რომ ინძრევა თვით საფლ ვი,—
 იქ—სიკვდილი სიცოცხლეს ჰკლავს, იქ—სულს ებრძვის მომაკვდავი!
 იქ—ფოთლების ასოებით ქარი აწეწს მინდორ-ტყე-ველს:
 „ალარ გახსოვთ! არა კაც კლა?!“—რად ივიწყებთ ნაზარეველს!“

სიმ. წვეელი

ვაჟა-ფშაველა სიემაწვილეში

(ამხანაგის მოგონება)

ახლახან გარდაცვალებულ მასწავლებლის ალ. ნათაძისა *)

მგონი 1879 წელს მოხდა ეს ამბავი, რასაც მკითხველი ქვეით წაიკითხავს.

*) განსვენებულმა ალ. ნათაძემ ეს მოგონება საგანგებოდ ჩვენის ჟურნალის „თეატრი და ცხოვრები“-სთვის დასწერა და გამოგვიგზავნა შემდეგი წერილითურთ: „ძმაო იოსებ! ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდის ვერ მოგაწოდე ეს მასალა. როდესაც მარჯვეთ დანიახოთ, მაშინ დაბეჭდეთ, მხოლოდ ამას გთხოვთ აღნიშნოთ აქ, რომ პირველი ჩემი მოგონება ვაჟას შესახებ დაბეჭდილი იყო „სახალხო გაზეთში“ საიუბილეო წარმოდგენის წინა დღეებში მგონი თიბათვის შუა რიცხვებში. საწყალს ძალიან გაუხარდა იმ ჩემი ნაწერის წაკითხვა და მადლობა მითხრრა მოგონებ ისთვის“.

შენი ალექ. ნათაძე

იენისის პირველ რიცხვებში დიდი სიცხე პაპანაქება იდგა: გაშუღმებით ქროდა ცხელი ქარი გოლვისაგან ქართლში ხმებოდა და იწვებოდა ახლათ დაპურებული კირახული, ბალი და ველი. ტყე და ღრე. დიდს საგონებელში ჩაცვივდნენ სოფლელები და აღარ იცოდნენ, როგორ ეშველათ თავისათვის და გოდებოდა და რისხვთა კრულავდნენ თავიანთ გაჩენის დღეს, თავიანთ არსებობას.

მაშინ მე და ვაჟა-ფშაველა გორში ვსწავლობდით საოლტატო სემინარიაში. იმ ხანებში ეგზამენებისთვის ვემზადებოდით, მაგრამ ვი ამ მზადებას: აქაც ისეთი სიცხის ბული ტრიალებდა, რომ სული ეხუთებოდა ყველას და გარეთ გამოსვლა ვერავინა ჰბედავდა. იმ მზე დაკრავდა და ანარადა სიცხისგან დაოსებული საჩრდილობებს მოგაძებნიებდა. ქუჩა-

ჩაში იშვიათათ თუ შეხვედბოდით ვისმე, აი სწორეთ ამ ჯოჯოხეთ დღეს, შუა ღლისას, საშინელი ზარების რაკეტუკა შემოგვესმა. ხალხი ეხლა-კი ამოძრავდა, გაქცევა-გამოქცევა იკადრა იმის შეატყობლათ, თუ რა იყო. მიზეზი ასეთი გახშირებული ზარების რეკისა ჩვენი ღირეკტორი სემიონოვის გამოვარდა. ბალონზე და გაღმოგვძახა იქვე ახლო მღგომ მე და ვაჟა-ფშაველას:

— წადით ეხლავე და ვაგეთ, თუ რა უბედურება მოხდა და შემტყობინეთ ყველაფერი— იქნება ჩვენი დახმარებაც საჭირო იყვეს ვისთვისმე რა“. ჩვენ მაშინათვე გავიქეციით; ჯერ წიწვლებივით სხვა მოწაფეებიც წამოგვყვნენ. გორის გრძელი ქუჩა ჩავლახეთ და მივდით მტერის ჰორას. ისე თქვენს მტერს მოსწყდეს წელი; როგორც ჩვენ შევწუხდით და დავდრდიან დით, ნი სანახაოთ, რაც სანახაო ჩვენ წინ გადაგვეშალა: მთელი ატკვარი, ხიდი გორისა, დღეს სამეფო ქუჩა მოღებული იყო კალიათი. ასეთი აუარებელი რიცხვი ამ საშინელი მწერის ზღაპარში არ გვეგონების და კილმით არ აიწერების! თვლის დახამხამებაში წიფელს გორს მოედო ეს საშინელი მტერი. სიარული შეუძლებელი იდებოდა ჩვენ მაინც მოვქუსლეო სემენარისკენ და ყველაფერი ვაცნობეთ ჩვენს ღირეკტორს, მთელი სემენარისის მოწაფეები

ხის ტოტებით ხელში გადაველობეთ ამ ურიცხვ ჯარს, რომ სემენარისის ბალი დაგვეფარა ამთ შემოსევისგან და მართლაც შევაჭრეთ მთი მოძრაობა სკოლის არე-მარეში. კალია მალე შეესია გორის ყანებსა და ბალებს, მისი ტალღა თითქმის სოფ. ბერშუეთს გასცილდა და ხელთუზნის მინდვრებს მოედო მთელი ხალხი ფეხზე დადგა. მათ შორის მე და ვაჟა-ფშაველაც იქ ვიყავით. აღმინისტრაციაც ამოძრავდა:

კალიასთან საბრძოლველათ ჯერ ახლო-მახლო სოფლებები და მერე შორიდგანაც გამოიყვანეს. ამ არეულობაში ვაჟა-ფშაველა თვალადგან ამცილდა, მისი გზა და კვალი ვეღარ გავიკვირე და დღონებული და დამარტებული ამ მწარე სანახაობით სემენარიაში დავბრუნდი. ვაჟა-ფშაველა ღამე დაბრუნდა

მთლათ გაოფლიანებული და შეწუხებული ამან ყველაფერი გვიამბო: იგი თურქე ჩამდგარა მუშებში და იმათთან ერთათ უთხრია ორმოები, აუარებელი რიცხვი კალიების ჩაუყრიათ ამ ორმოებში და მერე მიწით ამოუვსიათ. ამ ღაპარაკის დროს სემენოვიც დაეწყო ამგვარი საშუალება ბრძოლისა ქუჩაში დაუჯდა და მოახდინა განკარგულება— დილის ნ საათზედ ყველა ჩყენგანი ბარითა და ნიჩბებით წავსულიყავით მინდვრებში და გლახობთან ერთათ ჩვენც მონაწილეობა მივიღო საერთო მტერთან ბრძოლაში, ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით. ბელადებათ ვაჟა-ფშაველა და რამდენიმე სხვა მოწაფე ამოგვიჩრია ამით უნდა გავეყავით რაზმებათ და ყველა მით განკარგულებას დავმორჩილებოდით. მე და სემიონოვი და არისტო ქუთათელაძე ვაჟას რაზმში მოვხვდით.

ალ. ნათაძე

(გაგრძელება იქნება)



პრპ. მერაბ სოლ. ანდრონიკაშვილი

† ოსმალეთის საზღვარზე.

* * *

სქენება ყვავილი ვარდისა,
თავ-ჩაქნდრული, მტირალი,
ბუღბუღლის ბაღლად რომ ყვავი
დასჩხავის ოხერ-ტიალი
ქუქუნა წვიმის ნაცლად
ენახევა შხაპის ფიადის..

იანო ტიტუნაშვილი



მსახობ-მწერალი ვალ შალიკაშვილი
მისი ავადმყოფობის გამო
(სურათი გადაღებულია 5 წ. წინად)

უპრი უკლოთ

ვალ, შალიკაშვილს

როგორც მკითხველთ მოეხსენებათ, ჩვენი სცენი-
სა და მწერლობის ნამდვარი მუშაკი ვ. შალიკაშვილი
სახეხულოდ ცემში ცხოვრობდა, სადაც მოიხედა კი-
დეც და რჩენის გზას დაადგა. გარნა ხელმოკლეობამ
აიძულა მყოფრო ცხოვრებისთვის თავი გაენებებინა და
წარმოდგენები ემართა. ამას წინად დ. ბორჯომში
გამართა წარმოდგენა, რამაც ზარლის მეტი არაფერი
მისცა ხოლო ამა მკათათვის 26 დ. სურამში აპირებდა
წარმოდგენის გამართვას (იგ გომარ თლის „იასონი თი-
ნები“ უნდა დაეღა), მაგრამ წინადლით უცებ სისხლი
წავარდნოდა პირიდან. ავადმყოფი მსახიობი ვინახულე
მკათათვის 26, შალვა დადიანის ბინაზე; იმდენად იყო
და უსტებული, რომ თითქმის ვერც კი ინძრეოდა, ხმა
დაჰკარგოდა... ძლივს მეფეთქუნებოდა თვის ამბავს ქართ.
დრამ. საზოგადოებისგან გასული თვის კრებაზე დანი-
შნული მკირედ შესაწევარი, თვიურად ხუთი თუმანი,
დღემდე არ მიუღია, თურმე საძაგლად იკვებებოდა, ახ-
ლაც არავითარი ცხოვრების წყარო არა აქვს იმავე დღეს
მოვიწვიეთ ექიმი ბნი აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე,

რომელმაც ავადმყოფი დიდის დაკვირვებით გასინჯა.
და გვირჩია: რაც შეიძლება, მალე უნდა წაიყვანოთ
აბასთუმანს, ანუ უკიდურეს შემთხვევაში, ცემს აუკვე-
თეთ წარმოდგენებში მონაწილეობა, ხანგრძლივ ლაპარა-
კიც კი აწყენს, ერილოს ყოველივეს, რაც აღელვებს.
მა ეკირვება სულიერი სიმშვიდე, სიწყნარე და წესიე-
რი ნოყიერი კვება. ენკენისთვის გასულს უეჭველად
აოხუმს უნდა გაიგზავნოსო.

ავადმყოფს თვიურად დასკირდება არა ნაკლები
ხუთმეტი თუმნისა (150 მ.) შალიკაშვილს კი მხოლოდ
თვიურად ხუთი თუმანი აქვს დაწინული და ისიც არ
ეძლევა.

ამავე დღეს ავადმყოფი ინახულა ადგილობრივ
დრამ. საზ-ის თავმჯდომარემ გ. შალიბაშვილმა და აღუ-
უქვა: თუ სურამში დასტოვებენ ბინას უშოვიო, ხოლო
თუ წაიყვანეს შევეწვიეთ რასმეო...

აგრედვე წარმოდგენას გაუმართავს ხაშურის დრამ
წრე და ნიკთიერთაც დაეხმარება.

ქართულ დრამატ. საზოგადოებათა გამგეობათ
ველებათ სანამ დროა ყურადღება მიაქციონ ავადმყოფს
მსახიობს თორემ მერე გვიან იქნება!

„გადატრირი მუხის“ და სხვა მრავალ ნაწარმო-
ებთა ნიჭიერი ავტორი მეტი ყურადღებას ღირსია..

იოსებ არიმათი ელი

ქურდი

ა ნ უ

კეთილის მყოფელი
(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 30)

V

იგივე და მრეცხავი

ქურ. (იქით) მრეცხავი! (ხმა მადლა) რა
გნებავს, ჩემო კარგო?

მრეც. აქტიორი აქა ცხოვრობს?

ქურდი. შენ უფრო კარგად არ უნდა
იცოდდე?

მრეც. მე რა ვიცი? მე აქ პირველად ვარ.

ქურ. აქ... აქ... მეც როგორღაც ვერ გი-
ცნობთ. სარეცხი მოიტანეთ?

მრეც. მოვიტანე.

ქურ. დადე.

მრეც. (გაღათს იატაკზე დასდებს) როგორ
მალლა სცხოვრობთ, ძლივს ამოვედი.

ქურ. (დივანზე ჯდება) სარეცხი მაგიდა-
ზე დააწყე, ჩემო ღამაზო.

მრეც. ესეც ანგარიში.

ქურ. კარგი, მერე გავსწორდებით.

მრეც. ქალბატონმა დამაბარა უფულოდ არ დატოვო!

ქურ. ქალბატონმა?

მრეც. ღიახ. ეხლა ესეთი წესი შემოვიღეთ.

ქურ. ცული წესი შემოვიღიათ. მაიტა ანგარიში. (გამაანამუფეს და კითხულობს) ათი პერანგი, ათი პერანგის ამხანაგი, 8 ჟილეტკა, 4 დიუჟინი საყელო, ერთი დიუჟინი თეთრი გალსტუკი... სულ 4 მან. და 80 კაპ. (კალათას შემოუფლის და დახუდავს) აქოცი მანეთის სარეცხი იქნება. (იმას) აჰა, ხუთი მანეთი მიიღე. (მარცხნივ გადავა)

მრეც. ხელი მოვადწერო, რომ მივიღე?

ქურ. საჭირო არ არის... სარეცხი დააწყე, ჩემო ლამაზო... მხოლოდ ლამაზად, არ დაქუქნო... (დივანზე დაჯდება)

მრეც. (საღუეტკს გადასწევს, რომელიც კალათს ხურავს. ამოიღებს ერთ ძველ პერანგს და ერთ წუწილ ნასკებს, მაგიდაზე დასდებს და კალათას დახურავს) ინებეთ.

ქურ. (წამოადგება) დანარჩენი?

მრეც. სულ ეს არის.

ქურ. (კალათაზე უჩვენებს) როგორ თუ სულა? ესა?

მრეც. ეს სხვებისაა.

ქურ. დაქინი თუ? მე ხომ ხუთი მანეთი მოგეცი?

მრეც. აქ სამი თვის სარეცხია ნაანგარიშევი... მშვიდობით. (მიდის)

ქურ. საით? არ გაგიშვებ.

მრეც. ხელი არ მახლო... ვინა გგონივარ?... ეხლავე ვიყვირებ...

ქურ. ეხლავე დამიბრუნე ფული!

მრეც. (გარბის) რა ეშმაკია! (კულისებში კიდევ მოისმის შისი სიდიდი)

ქურ. (ერთ ხელში პერანგი უჭირავს, მეორეში ნასკები) ხუთი მანეთი ამ ჩვარში! შვიდი და ხუთი—თორმეტი!... დასაწყისი კარგია! უნდა ვეცადო როგორმე გავინაღლო. (მივახრდება კამოდს, ამ დროს გაიღება კარები და შემოდის სასტუმროს პატრონი ვაჟარი)

VI

იგოვე და სასტუმროს პატრონი.

სასტ. პატ. (კულისებში ელაზარაკება) თქვენ

მან დადექით, თუ საჭირო იქნება—დავიძახებთ.

ქურ. ღმერთო!

სასტ. პატ. (შემოდის, დივანზე ჯდება) ახტიორი ხარ?

ქურ. თქვენ აქტიორს ეძებთ?

სასტ. პატ. ღიახ, ახტიორს.

ქურ. ის შინ არ არის.

სასტ. პატ. შინ არ არის? მაშ შენ აქ რას აკეთებ?

ქურ. მე მასთან საქმე... მაქვს აქ ველოდები...

სასტ. პატ. საქმე გაქვს? რა საქმე?

ქურ. რა თქვენი საქმეა?

სასტ. პატ. ჩემი რა საქმეა? მუდრეგ, სამი თვეა თურმე ქირას არ იძლევა. დღეს დავბრუნდი. ნუხაში ვიყავი სავაქროდ... ფული გროში აღარ შემრჩა... როგორ თუ რა ჩემი საქმეა?— ტყავს გავიძრობ და ჩემსას-კი გავინაღლებ... შენც იმ ახტიორის ამხანაგი იქნები, რალა... ისეთავე შარლატანი ვინმე...

ქურ. თუ შეიძლება ენა დაიმოკლეთ.

სასტ. პატ. ვა, ვა, ვა! რა ძალიან ცხარობ! მაგითი გინდა შემაშინო? სთქვი რალა, ვინა ხარ... შენ აქ ასაწაზნად ხომ არ მოსულხარ?... იქნება ეს ჩემი ავეჯი უნდა გაზილო? ეხლავე ბიჭებს დაუძახებ და ასე გავხდინა, რომ ძვალ და რბილს ჰარისასავით აგირევენ...

ქურ. გაჩუმდით, რა დაგემართათ? მე თქვენს დგმურს არცკი ვიცნობ.

სასტ. პატ. მაშ აქ რას აკეთებ?

ქურ. საქმისთვის მოვედი.

სასტ. პატ. რის საქმე, რას მიჰქარავ! პირდაპირ მითხარი რალა, რისთვის მოსულხარ?

ქურ. მინდა სამსახურში მივიწვიო.

სასტ. პატ. ჰა? მაშ შენ ატრეპე... ატრეპე...

ქურ. ანტრეპრენიორი ვარ... ღიახ, ღიახ...

სასტ. პატ. კეთილი! ეხლა სულ სხვანაირად ვილაპარაკობ. ის სულ შენზედ მითითებდა, ფული უნდა მომიტანოს ჩემმა ატრეპე...

ქურ. ანტრეპრენიორმა... (იქით) ღმე-

როცა ისლა მაკლია, ფანჯრიდან ძირს ჩავე-
შვა!

სასტ. პატ. მაშ იცი რას გეტყვი? ჯერ
მე იმის ანგარიში გამისწორე და მერე საცა
გინდა წაიყვანე. ის ფულიც ჯამაგირში გა-
მოუბარე.

ქურ. ის თითონ მოგცემთ, დღესვე მო-
გცემთ. თქვენ მიბრძანდით, საცაა თითონაც
მოვა. ჩვენ ერთად მოვილაპარაკებთ და თქვენ
თქვენს ფულს მიიღებთ.

სასტ. პატ. რაო? აპრუწუწუნ, დიახ!
გინდა მომატუყო? ან ეხლავე ფული მომეცი.
ან არა და იმის მოსვლამდე აქედან ფეხსაც
არ მოგაცვლიენებ... მე ნამდვილი ვირი ვარ...
რაკი ვსთქვი ფული დღესვე უნდა გამოვარ-
თვა მეთქი, მორჩა ჩემსას მაინც გავიტან.

ქურ. (ჩემოდანს აიღებს) რა უფლება გა-
ქვთ, რომ არ მიშვებთ? მე თქვენთან არავი-
თარი საქმე არა მაქვს. მე გადავიფიქრე და არ
მინდა მეტი ვიცალო. (გადას)

სასტ. პატ. (წამოდგება) რაო? უკაცრა-
ად, ვერსად ვერ წახვალ! (კარგებში) ბიჭებო!
არ გაუშვათ!.. ეს ამას რომ მიათრევე, ვისია?
იქნება აქაურობა გაქურდვ და ეხლა გინდა
ყვირლით და მუქარით თავი დაიძვრინო?..

ქურ. (იქით) ფუჰ! ეს სად ჩავევარდი
(იშას) რამდონი გერგებათ?

სასტ. პატ. ეგრე არა სჯობია, შე დალო-
ცვილო? შენ ვინმე სულელი ხომ არ გმგო-
ნე?

ქურ. სთქვით რამდონი გერგებათ, თქვე-
ნთან ლაპარაკიც არა მსურს.

სასტ. პატ. სამი თუმანი მერგება.

ქურ. (აზომიღებს იქით) შვიდი, ხუთი და
ოცდა ათი—ორმოცდა ორი მანეთი. იქნება
კიდევ მოვასწრო და გავინაღლო. (იშას) მიი-
ღეთ.

სასტ. პატრ. მოიტათ... აი, ეგრე სჯო-
ბია... ამას-კი გირჩევთ, ბევრი ფული არ მი-
სცეთ, იმიტომ რომ რის აქტიორია, ტანისა-
მოსიც-კი არა აქვს... სულ ტარგოვჩიკს მი-
ჰყიდა.

ქურ. კარგი, კარგი... ფული ხომ მიი-
ღეთ—ეხლა მიბრძანდით.

სასტ. პატ. უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი

რომ შეგაწუხებთ. რას იხავ, ანგარიშის კაცი
ვარ... ჩემსას არავის შევარჩენ. (გადას)

ქურდი. (მარტო) ექსპროპრიატორი! (კბი-
ლებს აკრატუნებს) ოთხი თუმანი და ორი მა-
ნეთი!. ჩქარა საქმეს შეუდგეთ. (კამოდის უუ-
თებს შესმტრევეს. ჰირველიდან გამათრევეს ძვე-
ლს ჰერანგს, რამდონიმე სყუელს და ფოტო-
გრაფიულ სურათს) დასაწყისი ცულია! (სურათს
დახედავს) ფოტოგრაფია, და ისიც არა პიკან-
ტური... (შეორიდან აზომიღებს წერილებს, სა-
ვარცხელს, ჩოთქს, სათამაშო ქადაღს; შესამე-
დან ძველ აფიშებს, ზეღთეკის წელის ბოთლს
და გრემის კოლოფს) ბევრ რამეს გადავყრი-
ვარ, მაგრამ ასეთს-კი არასოდეს! (შიდის, კა-
რებთან შესვლაზე ფეხებიდაძვს)

VII

იგივე და ფხეკილაძე.

ქურ (სწრაფად) თქვენ აქტიორი ფხეკი-
ლაძე გინდათ? სახლში არ არის, წავიდა, ექვს
საათისათვის დაბრუნდება.

ფხეკ. ვინ წავიდა? მე წავედი?

ქურ. აა, მაშ თქვენა ბრძანდებით, ბ
ფხეკილაძე?

ფხეკილ. დიახ, მე ის გახლავართ.

ქურ. ძლიერ სასიამოვნოა თქვენი გა-
ცნობა.

ფხეკ. თქვენ ვინ ბრძანდებით?

ქურდ. მე... შე ის გახლავართ, ვინც
თქვენ გამო მთელი სამუშაო დღე დაჰკარგა.

ფხეკ. აა, მესმის! კრედიტორი ხართ?

ქურ. არა!

ფხეკ. მაშ ვინა ბრძანდებით?

ქურ. ექსპროპრიატორი!

ფხეკ. ექსპროპ... ჩემთან? (შაუზა) ოჰ,
როგორ მებრალეებით! (აწაფე ხელებს გაუწყდის)

ქურ. (ხელს ჩამოართმევს) სწორედ რომ
ღირსი ვარ ხელი გამომიწოდოთ, რადგანაც
მარტო დრო კი არა, ფულიც დავეკარგე.

ფხეკ ფული დაჰკარგეთ?

ქურ. დიახ. მე თქვენს მაგიერ მივეცი
მრეცხავს, სასტუმროს პატრონს და სტამბის
გამგეს.

ფხეკ. ჩემს მაგივრად? რატომ?

ქურ. იმიტომ რომ მეგონა გავინაღლებ-

დი, მაგრამ თქვენ არაფერი არა გქონიათ... არაფერი!

ფხეკ. დიხ, არაფერი.

ქურ. სულ არაფერი! არც ავეჯი!.. გამიგონეთ, აი რას გეტყვით—თქვენი სახლის პატრონი ვილაკა ყაჩაღი ყოფილა. ძლიერ ბევრს გახდევინებთ ამ სოროში,

ქურ. ბევრს? აბა რასა ბრძანებთ. რას მახდევინებს, რაც არაფერს ვიხდი..

ქურ. (აშოთხსრებს) ჰო, მაგრამ... თქვენს მაგიერ სხვები იხდიან!

ფხეკ. ვგ-კი მართალია! მაგრამ გამიგონეთ, თქვენ მგონია ფული გაქვთ?

ქურ. რასაკვირველია განა შეიძლება რამე საქმეს ხელი მოჰკიდო, თუ ძირითდი თანხა არა გაქვს?

ფხეკ. მაშ თქვენ ფული გაქვთ?

ქურ. ჩემს ხელობაში უფულობა შეუძლებელია. ჩემი საქმე წმინდა ხელობაა. დიდს გამოცდილებას და მხატვრულ გემოვნებას მოითხოვს... თანაც დიდს სიამოვნებას გაგრძობინებს. თქვენ არტ-სტი ხართ და შეგიძლიანთ ეს გაიგოთ. დღეს მე ვმუშაობ ამპირის სტილის მოწყობილობაში, ხვალ ლიუდოვიკ მეთხუთმეტისაში... თუ დამეთანხმებით ეს სილაბაზეა!.. შემძლიან კიდევ გითხრათ, რომ მე დიდი მკოდნე ვარ... კოლექციონერი გახლავართ... მაგრამ მე აქ ვლაქლაქებ და ღროკი მიდის... აბა, მივიღვარ.. ღღევანდელი დღე დამეკარვა... მაგრამ დიდის სიამოვნებით გაცივანით.

ფხეკ. მიდინხართ?

ქურ. დიხ.

ფხეკ. იცით რა .. ჰმ!.. თქვენ, ეს—ეს არის სთქვით, რომ ფული გაქვთ... არ შეგიძლიანთ სამი მანეთი მასესხოთ?

ქურდ. გასესხოთ? რატომაც არა—ინებეთ. ეს ჩინებული შემთხვევაა ჩემს სიცოცხლეში.

ფხეკ. გმადლობთ... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დაგიბრუნებთ.

ქურ. ოჰ, არა!

ფხეკ. რატომ?

ქურ. იმიტომ რომ, ვეცდები აღარ შე-

გხვდეთ. (თავს დაუკრავს) მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გადის)

ფხეკ. (მარტო) რა ჩინებული ყმაწვილია! ეს ქურდი-კი არა,—ნამდვილი კეთილის მყოფელია!

ფ ა რ დ ა

გრ. აბაკელია

რეკვიზიტი:

აფიშები, გვ რგვინი ლენტით, სელტერის ბოთლი, პარიკი, კრასკები (გრიმისა), ფოტოგრაფიული სურათები, სარეცხის კორზინა, დაუთოებული პერანგი და ნასკები, პატარა საკვირთაი, ქურდის იარაღი: ჩაქურჩი, „ატვიორტა“, სტამესკა, ანგარიშები, ქალღღებრი ფული



ხელოვნების მოკლე ისტორია

სამხატვრო მრეწველობა. ქანდაკება.

ფინიკიელები დიდხანს ხატრანობდნენ ხელოვთა შუა ზღვას და ამ საქმეში მთავარი ხელმძღვანელობა ხან ქადაქ სიდანსა ჰქონდა და ხან ტირასის. შემდეგ მათი ძლიერება დაემხო.

სხვა ერებმა დაიპყრეს ზღვა, დასასდდნენ კუნძულებზე. ბერძენთა და ეტრუსთა ფლოტს ანგარიში გაწვა დასჭირდა. მაგრამ მიუხედავად ამისა ფინიკიელთა ახალშენებმა ჩრდილოეთ აფრიკაში კანთაგენმა კიდევ დიდხანს იარსება დაბოლოდ მხოლოდ რომმა შესძლო მისი დამხობა. ხოლო მათი ძლიერების დროს ფინიკიელებმა თავიანთი დაწესებულებანი მოჭფინეს მთელ ხელოვთა შუა ზღვის სანაპიროებს, პანტოს ზღვიდან დაწესებულ გიბრალტარის კასაკადამდე. ანგარებით ამოძრავებულ გაბედულებას ისინი თვით მაშინდელ დროისთვის საშიშარ ოკეანემდე მიჭყვანდა: ჩრდილოეთით ბრეტანამდე აღწევდნენ და სამხრეთით აფრიკას უყვდიდნენ. ესეთ დიდ მოგზაურობის დროს ისინი უხვად სარგებლობდნენ როგორც ქვეყნის სიმდიდრითა, ისინი მიდიოდნენ რომ ბრინჯაოსთვის კვლამოკვანათ, იტაცებდნენ თვით ახალგაზდა ქაღწულებს და ბავშვებს, რომელთაც შემდეგ მონებათ ჰქოდდენ; სამაგიეროთ გაჭქონდათ, როგორათაც

თავის ნაწარმოები, ისე თიბას, ნინეფას და ბა-
ბილონის ნაყიდი საქონელი. იმათი მესხებით
დასაყდეთს აღმოსავლეთთან დასოკადებულებს
ჭქონდა.

ხელფურთი ნაწარმოები იმათ საქონელში
იმიტომ კი არ კრია, რომ მსატრული გემო-
ნება დიდით უნდითარბული ჭქონდათ, არამედ
მისთვის, რომ მოთხანნილებს იყო. ზღასტიურ
ხელფურთებში ისინი უფრო ეგვიპტელებს და
ასურელებს ბაძადენენ და თავის თავად-კი არა-
ფერი არ შეჭქონდათ აღმოსავლეთის გაუნათ-
ლებელ ხალხს დიდათ უყვანთ დმურთების გამა-
სახულებს, ფინიკიელებიც მათთვის ესეთ სავაჭ-
რო „დმურთებს“ ბლომით ამზადებდნენ. თან ამ
საქონელს ბრინჯავს ღარნაკს, მინის ჭურჭელს,
რომელთა კეთება მართლაც ხელფურთად იტო-
დნენ, თან მიატანდნენ ხელმე. შემდეგში, უფრო
გვიან, როდესაც ბერძნული ხელფურთები განვითარ-
და, ისინი მაინც მიმბაძველებათ დარჩნენ და
ესეა ბერძნული ხელფურთები გადმოვიდეს, რო-
გორც წინეთ ასურული და ეგვიპტური.

ფინიკიაში უცხოელი ელემენტები კრია და
ამიტომ მათ ქანდაკებებში სტილი არეულია.
თვით სირიაში ბევრი ისეთი გამოიწვიარი თიხა
და სარკოფაგები იპოვნეს, რომელთაც დამიანის
სხეულის ნივთიერება ჭქონდათ და ანტროპოი-
დებათ იწოდებოდნენ. ყოველ ამ ნაწარმოებში
მაინც თავის თავად არაფერი არ არის, თით-
ქო მათ შემქნელთ აზრთაც არ მისვლიათ—
დაეფრათ მსგავსება და თვითონ ტიპიც მათი-
მოდგომისა. კიპროსზე, სადაც უამრავი ნაქანდა-
კები აღმოჩნდა, სტილი შეცვლიდა. ჩვენს
დას მიერ აღმოჩენილ დიდ სტატუეტთა შორის ტა-
ნისამოსი, თმის დაყენება და დასუჭურებული წვე-
რი სშირად ასირიულ ბარელიეფებს ემგსავსება?
მაგრამ აქ უკვე მიბაძვა ადარ არის, აქ მოდე-
ლირობა, წვრილმანების ჩამოანაკვთვა უფრო
სუბუქია, ვიდრე ასირიულ ბარელიეფებში. ეგვიპ-
ტურებში ეგვიპტის გავლენით შექმნილ ნაწარმო-
ებთ, იმათაც ბერძნული სუდი დატუბიათ. ეს
ბერძნულობა თვით ნაკეთთა გარიგებულობასაც
ეტუობა, სახის გამომეტეველებს და სწორედ
ამიტომაც არის საურუნადლებო ეს კიპროსთა
ხელფურთები, სადაც ერთი მერაქში არეულია აზი-
ური და ელინური შემოქმედება. თუმცა ესეც

უნდა ითქვას, რომ უემოხსენებული ნაწარმოებნი
სულ სხვა და სხვა ეპოქებს ეკუთვნის. დმურთთა
სტატუეტ შორის კიპროსზე სშირად შესვლებით
სტარტას ქანდაკებასაც, ქურუმებისა და დმურ-
თების თავუანის მტემელთა გამოსახულებასაც.
იმათ კი მისდევს აურბული ტერაკოტა. ესევე
ხასიათი აქვს ფინიკიისა და კიპროსის მსატრ-
რულ მრეწველობის ნაწარმოებს: მეჭურჭლეობა-
სა, ქსოვილებისა და ძვირფას თვლების ხელფურ-
თებს. ფინიკიელებმა ჰარველად მიაგნეს და სა-
დაფილან გამოიღეს მწამული ფერა, რომლითაც
ქსოვილებსა დებავდნენ. შუშის კეთების გამო-
ცანებს აგრეთვე ფინიკიელებს აწერენ, მაგრამ
აღმოჩნდა, რომ წინეთ ეს საქმე ეგვიპტელებ-
საც სცოდნიათ, თუმცა ფინიკიელებმა მისი კე-
თება უმადლეს ხარისხამდე აიყვანეს და მათი
ფერადი შუშეული შესამჩნევი რაი არის. საკვი-
რველად ხასხასად და გამოუხუნიებელ სადებავით
არის შეფურადებული. დასასრულ უნდა ითქვას,
რომ ფინიკიელებში თუმცა ცოტა რაი შექმნეს,
მაინც ხელფურთების განვითარებაში შესამჩნევი
ღვაწლი მიუძღვისთ.

მ. ჯიქიაშვილი

წერილები მეგობართან ქართველ მუსულმანების შესახებ.

დიდი თანაგრძობა მოიპოვა ქართველ
მამულიანებში იმ ლექსმა, რომელსაც ქვემოთ
მოგახსენებთ. გთხოვთ უცვლელად დაბეჭდოთ..
ამასთანავე ძლიერ კარგი იქნება, რომ ესე-
ვე ლექსი ჩვენი მუსიკის მკოდნებმა ნოტებ-
ზე გალიღონ სასიმღეროთ. ძლიერ მოსწონთ
აქაურებს ისეთი ნაწარმოები, რომელიც იმათს
ცხოვრებას შეეხება. ნოტებზე გაღაღებული
ახლო მომავალში ადვილათ გავრცელდება
ეს ლექსი ჩვენს თანამოძმეთა შორის. აი თვით
ლექსიც:

„შავმან დრომან დავგაშორა
ქართველებსა მათი ძმები,
ერთი ტუბილი დედის შვილინი,
ერთ აკვანში დაზრდილები,
ერთად მზრძოლინი შავმელთანა,
გმირულ სისხლით შესვრილები:

მესხნი, შავშელ-ერუშელნი,
ქობულენი, აქარლები.
რაც დავშორდით, იმას მერე
მათკენ რბოდა ჩვენი გული,
და იმათთან შეერთების
ვინატრიდით დაჩაგრული...
ბოლოს ბედმან გავვიღიმა,
შეგვისრულდა მისწრაფება,
და— გვეღირსა ღვთის წყალობით —
ჩვენს ღვიძლ ძმებთან შეერთება.
მუდამ ოხრავს, ვინც წაიდა
ჩვენთაგანი უცხოეთში,
მიატოვა თვის სამშობლო,
გადასახლდა ოსმალეთში.
იქ ვერ ნახა ამისთანა
დალოცვილი ტურფა მხარე,
და სამშობლოს დამკარგავსა
თვალთაგან სდის ცრემლი მწარე
სიკვდილის წინ გარდასვენებულ
თვის სამშობლო აგონდებათ,
თვალთ წინ უდგათ მის მთა-ბარი,
აქ სიკვდილი ენატრებათ.
სწყევლიან თვის გაჩენის დღეს!
გვიანლაა სინანული!
ყოველთვის ვერ გამობრუნდეს
საქმე ერთხელ წაგებული!
არ დავსტოვებთ ჩვენს სამშობლოს —
მამა-პაპის სისხლით მორწყულს,
თამარ მეფის ნაწამვლარს,
მისგან ღმობილს და კურთხეულს!
აქვე არის დამარხული
ჩვენი მამა-პაპის ძვლები,
და სამშობლოს დამტოვებელს
სწყევლის მათი საფლავები.
რადგან მოდგმით ქართველნი ვართ
და ო მალნი არ ვართ ჩვენა,
ქართველების ენა არის
ჩვენი ღვიძლი დედა ენა...
ამ ენაზე მეტყველებდა
ღიღი თამარ დედოფალი,
და ამ ენას არ დამკარგავს
ჩვენი ძე და მომავალი...
ამ შეგნებით ვეგებებთ
დროთა ბრუნვის ჩარხის ტრიალს:
ის წამებულთ გზას გვიჩაბრებს

და გვიქადის სხვა მომავალს...
იქ სჩქედს წყარო ცხოვრებისა
იქ მოგველის ბედი ტკბილი...
და უკან კი წყვილია...
სამარეა და სიკვდილი!.
შენი მეგობარი ჩაქუჩი

**დიმიტრი უიფიანის სახელობის
სამკითხველთა შვიდშვილი**

აჭა, ძლიერ მეღირსა და ჩვენი დიდებული
მამულიშვილის დიმიტრი უიფიანის ოჯახში ვარ...
სახლი შუაგულ სოფელშია, მადლობაზე წამა-
დგმული გასტუმრის შობს ველ-მინდვრებს: ცალ
მხრივ ბორჯომის ხეობა, უკან ტყე, — ირგვლივ
სუსტყვო სანახაობა...

ვზივარ ნეტარსენებულ დიმიტრისეულ სა-
განძელში და ვსწერ იმავე მაგადაზე, რომელზე-
დაც დიმიტრის თავისი ისტორიული წერილი
მისწერა ზაფხუ ექსანსის სქართველს დაწვე-
ვისა გამო... გული ფანტაზიებს და რადაც
მოკრძალების გრძნობა მიპყრობს: ჩემს წინ აღ-
მართა სულელები სახე დადი ადამიანისა.

30 წელიწადი გავიდა, რაც ეს პატიოსანი
მამულიშვილი მზაკვანძ ხელმა სიტყვებს გა-
მოსაღმა, ის აღმანი რომელმაც ჩვენში უაყელ-
გვარ საზოგადოებრივ — საკულტურო-საფინანსო
საქმეს საფუძველი დაუდო და მისი სახელობის
პირველი წიგნთსაცავ სამკითხველთა მისი სოფელ-
ში მხოლოდ ახლა დაფუძნდა.

კვირას, 24 მკათათვეს, წიგნის შემდეგ
ქვიშეთის ეკლესიაში ადგილობრივ ინტელიგენ-
ციისა და გლეხების თანდასწრებით ზანაშვიდი
გაღიხლეს დიმიტრის სულის მოსახსენებლად. ზა-
ნაშვიდის შემდეგ საშურის მღვდელმა ს. სა-
ლარიძემ შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა: სა-
ღეს დაუხსიათა დიმიტრის ცხოვრება — მოღვა-
წეობა და აუსნა მისი სახელზე დაფუძნებულ
წიგნთსაცავ — სამკითხველთა მნიშვნელობა. შე-
მდეგ შემოსილი სამღვდელთა (გალობით) და სა-
ლხი გაუმართა მადლობაზე მღვდარ სამკითხველთ-
სკენ. მას გარე ამკობდა ფოთოლნარის ხეყულები,
შიგნით — დიმიტრი უიფიანის ვეება სურათი; ფო-
თლით და სამღვდელთა ჩაშით მართული. წი-
გნთსაცავი დაფუძნებულა ქ. შ.წ. კ. ს. სახელზე ად-
გილობრივ ინტელიგენტ. მიერ. შესწირეს: გ. დ. ეი

წვილი ამგავი

← **ქართ. მოღვაწეთა აზარაპის** სასარგებლოდ ამ მოკლე ხანში წადვერში სეირნობა გაიმართება.
 ← **თელმ სხსოკში** თავისი ცოლშვილით ცე-ში ცხოვრობს

← **მ. ჯდანოვიჩი (მ. მაიაშვილი)** ეს ერთი ოვე მძიმე ავადმყოფია, სიღამბლე დამართნია, ენა და-ბმია. მისი ავადმყოფობა საერთო მწუხარებას იწვევს.

← **ბორჯომში ი. შივიის ბანეშისი** ამ მოკლე ხანში გაიმართება.

← **სურამში** სამშაბათს, 2 აგვისტოს ადგილობრივ კლუბის ცენაზე იუზა ზარდალიშვილის მონაწილეობით გაიმართება სამხიარულო საღამო სხვათა შორის მონაწილეობენ ხაშურის სცენის მოყვარენი ალ. კოჩიაია, კ. კალაძე, მ. კვალიაშვილი, ვ. სხილაძე და ნ. იხარულიძე.

3. შალიკაშვილის ავადმყოფობის გაძლიერების გამო სურამში მისი მონაწილეობით დანიშნული წარმოდგენა გადაიდო.

← **ბათუმში** კვირას, 31 მაკათვეს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ან. კავთელისა და ივ. ბარველის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პოლერევის ცნობილი პიეა „ბრკყალუბა“ და ვოდვეილი „ვაი ყობოს“ ბაბათს ნ მარიამობის თვეს, მსახობი რეჟისორის ივ. ბარველის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე: „მართლმსაჯულუბის ხელში“, თარგ. გრ. აბაკელასი

← **ბარდაიძვალდენ** ალ, ნათაძე და გ. ლომთათიძე. დაწერილებით შემდეგ,

გეომობარი შპითხველნი

„თეატრი და ცხოვრება“-ს

(გენერალის ფონდი)

ბატონო რედაქტორო!

ამ სისხლის წყნებების ღრის ცხდურება უკუ-ღმს შეტრიალდა და ეგელაფური საჭირო მასალა ერთი ათად გაძვირდა. ქადაღდი ხამ საშოფარიც აღარ არის, რის გამოც სოციალური შურნაღ-გაზე-თების გამცემს შეჩნდა. ამიტომ ჩვენ გაფასებთ თქვენი და თქვენი ძვირფასი მუშაღის შრომას, რისთვისაც ნიშნად თანაგრძობ-

ბისა და ვატევისცემისა გაახლებთ ჩვენს წვლი-ღს თქვენი შურნაღის სასარგებლოდ, რთმლის არსებობა აუცილებელი საჭიროა ქართული საღ-ხისათვის. იმედი გვაქვს, სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლაღს და ჩვენს გამომხმურებას მხარს დაუჭერენ.

ივანე სვიმონიშვილი, ეფრემ გოგი-ბერიძე, ივანე სურგულაძე, ნიკოლოზ ლეკიშვილი, ვა... ვ... ძე (ვერ გავარჩიეთ), მიხეილ სხირტლაძე, ხარიტონ სურგულაძე რუბენ ჯავახიძე, ვანო მაჭავარიანი, კალი-სტრატე საიიშვილი—თითო მანეთი, პარ-მკენ ხირაძე, ივანე ჯოგუტი—ათათი შაური, სულ 11 მანეთი.

ახალი კლუბი

1 კვირის პროგრამა 31-7 აგვისტო

ორშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი - სიმფ. კონც. რასტრაფოვიჩის

ოთხშაბათი - სიმფ. კონ. ბელსკის ბენეფისი

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (უფას); საზანდარი პარასკე.

შაბ. — სიმფ. კონ. სარაჯიშვილის მონაწი.

კვირა — საბავშვო საღამო, მუს. სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 ს. ა. შ.

წარმოდგენისა და სინემატოგრა. საღ. 8 1/2 სა
 სხმსასწმელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლო.
 სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და
 ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მაშაკეები 1-05 კ.

ხარკოვის საზოგადოებრივი კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 31-7 აგვისტო

კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

ორშაბათი — სინემატოგრაფი; საზ. მუსიკა.

სამშაბათი — სინემატოგრაფი; სიმეზიანი ორკ.

ოთხშაბათი — ქართული წარმ.; ბალ-სამხედრო — მ.

ხუთშაბათი — სინემატოგრაფი; საზანდარი.

პარასკევი

შაბათი — ოპერეტა

კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა